ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 31

ქ. თბილისი **აპრილი 2023 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო", (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გოგი ჩიქოვანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ერთიგონი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესარიონ მოსეშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანია: **საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის (ესბა ESBA) 2023 წლის ვერსიის (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია/განახლება, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება) ლიცენზიის სახელმწიფო შესყიდვა.** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე.

2.2 შესყიდვის ობიექტი: **საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის (ესბა ESBA) 2023 წლის ვერსიის (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია/განახლება, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის დამტკიცების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება) ლიცენზია.**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3540 **(სამი ათას ხუთას ორმოც) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: 48440000- ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტები.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია/განახლება) მიწოდების ვადა:

3.1.1 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია/განახლება) შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში;

3.1.2 მიწოდებული შესყიდვის ობიექტით მომსახურების გაწევა მოხდება გადაცემიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია/განახლება) მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, **ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29- 29ა.**

3.3 შემსყიდვის ობიექტით მოსარგებლე მომხმარებელთა რაოდენობა შეზღუდული არ არის.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 პროგრამა წარმოდგენილია „როგორც არის" ისეთი ფორმით და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზი აღმოფხვრას შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 განახორციელოს ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში დაშვება.

5.1.2 უზრუნველყოს საფინანსო (საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის და ა.შ) სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების, სხვა საინფორმაციო დოკუმენტებისა და მათში

ცვლილებებისა და დამატებების დაუყოვნებლივი ასახვა ელექტრონულ სისტემაში (პროგრამაში);
5.1.3 უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის სისტემასთან ელექტრონული წვდომის უზრუნველყოფის შემთხვევაში.
5.1.4 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ნებისმერი არასანქცირებული შეღწევა შესყიდვის ობიექტის მიმწოდებლის სერვერზე განთავსების შემთხვევაში.
5.1.5 ხელშეკრულების პერიოდში უსასყიდლოდ გადასცეს პროგრამაში დანერგილი სიახლეები.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთნ.
5.2.2 თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი და უზრუნველყოს მათი დაცვა.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, შეამოწმონ მოწოდებული შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **მთავარი ბუღალტერი ალექსანდრე ნატროშვილი.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს მთავარი ბუღალტერი ალექსანდრე ნატროშვილი.**

8. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
8.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
9.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ შემსყიდველი/მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
10.6 ამ მუხლის 10.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ღირებულება

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

13.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 14.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ბ-ნ ნუგზარ ნონიაშვილი; მობილური ტელეფონის ნომერი: 577 47 77 88; ელექტრონული ფოსტა: contact@ertigoni.ge, ertigoniltd@gmail.com;

ბ) საკონტ. პირი ბ-ნ ალექსანდრე ნატროშვილი; მობილური ტელეფონის ნომერი: 551 56 77 55 ; ელექტრონული ფოსტა: alekonatroshvili@gmail.com.

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

მის: ქ.თბილისი ,მიცკევიჩის ქ N29-29ა
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 404905475

მიმწოდებელი

შპს „ერთიგონი“
მის: ქ. თბილისი, ზაქარაიას ქ. №34
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE93TB1143936020100002
ს/კოდი: 200248384

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს
დირექტორი

გოგი ჩიქოვანი

შპს „ერთიგონი“ - ს
დირექტორი

ბესარიონ მოსეშვილი

LTD ERTIGONI

Digitally signed by LTD ERTIGONI
DN: cn=LTD ERTIGONI, 2.5.4.97=NTRGE-200248384, o=••• ••••••••, c=GE
Date: 2023.04.18 16:33:27 +04'00'

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
N(N)LP TBILISI'S KINDERGARTEN MANAGEMENT AGENCY

წერილის ნომერი:**66-0123103968**
თარიღი: **13/04/2023**

ადრესატი:

გოგი ჩიქოვანი
ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-დირექტორი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის

სააგენტოს დირექტორს ბატონ გოგი ჩიქოვანს

ამავე სამსახურის მთავარი ბუღალტერის

ალექსანდრე ნატროშვილის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 2017 წელს შპს ,,ერთიგონი"-დან შეიძინა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამა ,,ესბა". აღნიშნული პროგრამის ფუნქციონირებისათვის შესაძენია 2023 წლის ლიცენზია, რომლის ღირებულებაც შეადგენს 3540(სამი ათას ხუთასორმოცი) ლარს. თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ხელშეკრულების გაფორმება შპს ,,ერთიგონი"-სთან.

ალექსანდრე ნატროშვილი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილება-მთავარი ბუღალტერი